



განცხადება

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. №25
საქართველო
ტელ: (8 22) 98-39-98
(8 22) 95-45-59
ფაქსი: (8 22) 98-98-24
ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge

ISFED International Society For Fair Elections and Democracy

Address: 25 Kostava St.,
0108 Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 98-39-98
(995 32) 95-45-59
Fax: (995 32) 98-98-24
E-mail: info@isfed.ge
website: www.isfed.ge

რეგიონული ოფისები

თბილისი 0120
ქეთევან წამებულის ქ. №67ა
ტელ: + (995 32) 77 56 99
E-mail: tbilisi@isfed.ge

გურჯაანი 1500
ო. ნონეშვილის ქ. №3
ტელ/ფაქსი: (8 253) 2 11 77
E-mail: gurjaani@isfed.ge

ქუთაისი 4600
მ. კოსტავას ქ. №3
ტელ/ფაქსი: (8 231) 4 41 12
E-mail: kutaisi@isfed.ge

ბათუმი 6000
ვ. გორგასაძის ქ. №97
ტელ/ფაქსი: (8 222) 3 22 42
E-mail: isfed_batumi@posta.ge

საქართველოს ორგანულ კანონში “საქართველოს საარჩევნო კოდექსი” შესაგანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონპროექტში, მე-2 მოსმენისათვის განსაზღვრულ ვარიანტში, “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა” (ISFED) და “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” (GYLA) რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ ფიგურირებს დამატებითი სიების საკითხი. კერძოდ, კანონპროექტის 129⁷ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე დამატებით სიაში ამომრჩეველთა დარეგისტრირება შესაძლებელი იქნება უშუალოდ კენჭისყრის დღეს. ამომრჩეველს, რომელიც არ იქნება რეგისტრირებული ამომრჩეველთა ერთიან სიაში, საშუალება ექნება პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს ამ უბნის ტერიტორიაზე მის რეგისტრაციას, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

“სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” მიმართავს საქართველოს პარლამენტს, რომ არჩევნების დღეს დამატებითი სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაცია:

- ეწინააღმდეგება საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტებს, რომლებიც აღიარებენ არჩევნების დღემდე ამომრჩეველთა დაზუსტებული სიების უპირატესობას;
- ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს;
- ქმნის ერთი და იგივე ამომრჩევლის მიერ რამდენჯერმე ხმის მიცემის ალბათობას;

ამასთან, არჩევნების დღეს შეუძლებელია შემოწმდეს, თუ რამდენ უბანზე გაიარა რეგისტრაცია კონკრეტულმა ამომრჩეველმა; კერძოდ, ამომრჩეველთა ერთიანი სიის კომპიუტერული სისტემა საარჩევნო უბნებისთვის ვერ უზრუნველყოფს შესაძლო მრავალჯერადი ხმის მიცემის გადამოწმებას კენჭისყრის დღის განმავლობაში.

“სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ქმნის არჩევნების გაყალბებისა და არჩევნების არაღამაკმაყოფილებლად შეფასების საფრთხეს. შესაბამისად, “სამართლიანი არჩევნები” მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს არჩევნების სამართლიანი აღმინისკრირების მიზნით მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილება.